რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

პოტენციური მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და ცხოვრების ხარისხის შესახებ

(თეოლოგიური და ეკონომიკური მეცნიერებებისა და პროფილაქტიკური მედიცინისა და მასობრივი სპორტის საკითხები)

About Potential Macroeconomic Competitiveness and Life's Quality

(Issues of Theological and Economic Sciences and Preventative Medicine and Mass Sport)

О потенциальной макроэкономической конкурентоспособности и качестве жизни

(Вопросы теологических и экономических наук и профилактической медицины и массового спорта)

თბილისი
2015

მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის შრომა "პოტენციური მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და ცხოვრების ხარისხის შესახებ (თეოლოგიური და ეკონომიკური მეცნიერებებისა და პროფილაქტიკური მედიცინისა და მასობრივი სპორტის საკითხები)" წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლებისა და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია

ISBN 978-9941-0-8166-8 (PDF)

პოტენციური მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და ცხოვრების ხარისხის შესახებ

(თეოლოგიური და ეკონომიკური მეცნიერებებისა და პროფილაქტიკური მედიცინისა და მასობრივი სპორტის საკითხები)

ეძღვნება ხალხთა მეგობრობასა და ფარული არაკეთილსინდისიერი

მონოპოლიებისაგან გლობალური ბაზრის დაცვის აუცილებლობას

Dedicated to the Friendship of Peoples and necessity of

safety of global market from hidden unfair monopolies

Посвящается дружбе народов и необходимости

защиты мирового рынка от скрытых недобросовестных монополий

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებიდან [1], ცნობილია, რომ მაკროეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას, როგორც დიდ, ასევე მცირე ქვეყნებში განსაზღვრავს კონკრეტული სახელმწიფოს ინსტიტუტებისა და პოლიტიკის მზაობა (ქმედუნარიანობა) სტაბილურად მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპების, მწარმოებლურობის დონის ფაქტორების ამოქმედებისა და კომპანიების წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფაში.

ძალზე სასიხარულოა, რომ ტერიტორიულად მცირე ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ კონკურენტუნარიანობის აღნიშნულ ანგარიშში საკმაოდ მაღალი რეიტინგი მოიპოვა, რომელიც წელს გაუმჯობესდა, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მინდა მივაქციო ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე – ერთია რეალური მდგომარეობა და მეორე – პოტენციური შესაძლებობები, რაც მცირე ქვეყანას, შესაძლებელია, მინიმალურადაც ვერ ჰქონდეს გამოყენებული ფარული მონოპოლიების მოქმედებების გამო და საჭირო ხდება, როგორც ჩემს შრომებშია დასაბუთებული, საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერა [2–9] - საერთაშორისო თანამეგობრობა ხომ დაინტერესებული უნდა იყოს ყველა დიდი თუ მცირე ქვეყნის პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაში, რაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიო პროდუქტსა და სიმდიდრეს ამრავლებს.

მაგალითისათვის, მეცნიერებატევად მრეწველობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი უნიკალური სოფლის მეურნეობის პროდუქტები ფაქტიურად გაქრა ადგილობრივ ბაზარზე და მათ ნაცვლად ქართული ეტიკეტებით გაფორმებული შორეული ქვეყნების გაურკვეველი წარმოშობის პროდუქტები ცდილობს დაიპყროს დახლები. ამასთანავე, მათი მოზღვავება, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის ინდექსების გართულებაზეც აისახება. ბუნებრივია, ზომიერი იმპორტი ყოველთვის უნდა იყოს, მაგრამ ახლა ჯერ კიდევ საგანგაშო მდგომარეობაა ამ მხრივ.

ვფიქრობ, კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში უნდა დაემატოს ქვეყნის პოტენციური კონკურენტუნარიანობის ახალი მაჩვენებელიც, რომელიც ასახავს საუკეთესო მოსავლიანობის წლებში არსებულ მდგომარეობას, რაც უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის საერთაშორისო თანამეგობრობას არსებული რეზერვების უკეთ გამოყენების მიმართულებით.

ვფიქრობ, პოტენციური კონკურენტუნარიანობა დამატებით შეიძლება ავსახოთ შემდეგი ინდექსების გამოყენებით:

1) საერთო პოტენციური კონკურენტუნარიანობის ინდექსი = ოფიციალური მეთოდოლოგიით განსაზღვრული კონკურენტუნარიანობა გამრავლებული ფაქტიური და პოტენციური (წარსულში მაქსიმალური დონე) მწარმოებლურობის დონეების თანაფარდობაზე;
2) პოტენციური კონკურენტუნარიანობის ინდექსი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გათვალისწინებით = ოფიციალური მეთოდოლოგიით განსაზღვრული კონკურენტუნარიანობა გამრავლებული სოფლის მეურნეობის ფაქტიური და პოტენციური პროდუქტიულობის დონეების თანაფარდობაზე;
3) პოტენციური კონკურენტუნარიანობის ინდექსები მთავარი აგროკულტურების მოსავლიანობათა გათვალისწინებით = ოფიციალური მეთოდოლოგიით განსაზღვრული კონკურენტუნარიანობა გამრავლებული ქვეყნის აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის ყოველი კონკრეტული აგროკულტურის ფაქტიური და პოტენციური მოსავლიანობის დონეების თანაფარდობაზე.

ეკონომიკური კეთილდღეობა, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ცხოვრების საუკეთესო ხარისხს, მაგრამ ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად, კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის ინდექსებთან ერთად, ვფიქრობ, დამატებით, მიზანშეწონილია, შემდეგი ინდექსების სისტემის გამოყენება:

1) ხანდაზმული, მოხუცებული და დღეგრძელი მოსახლეობის ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში;
2) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული ხარისხის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში;
3) ჯანდაცვაზე, განათლებასა და კულტურაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში;
4) ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მეცნიერული კვლევების დროს გამოყენებული თანამედროვე მორფოლოგიურ-ციტოლოგიური, ნოზოლოგიური, ეტიოლოგიური და სხვადასხვა სახის პროგრესული მეთოდების რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე;
5) სპორტული კომპლექსების რაოდება მოსახლეობის ერთ სულზე;
6) სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე;
7) ეკლესიების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრებისა და ადამიანის სულიერი და მატერიალური ყოფაცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტების რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე.

მოგეხსენებათ, როგორც თეოლოგიური მეცნიერება თვალსაჩინოდ ადასტურებს, ადამიანის ცხოვრებასა და მის ხანგრძლივობაზე სულიერება პირველხარისხოვან გავლენას ახდენს. ჩვენი ხედვით, სამყაროში ყველაფერი კანონზომიერია, ის პარადოქსული მოვლენებიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით შემთხვევით მოვლენებად გვეჩვენება. როგორც ძველი აღთქმიდანაა ცნობილი, პირველი ადამიანები, 900 წელზე მეტს ცოცხლობდნენ [10] და ცოდვების გამრავლებასთან ერთად, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა არსებითად იკლებს, თუმცა, საბედნიეროდ, ბოლო ხანებში, ადამიანის ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა გარკვეულ მატებას იწყებს. სავსებით შესაძლებელია, რომ კეთილშობილი ადამიანი

ადრე გარდაიცვალოს უფლის ნებით, მაგრამ, საერთო ტენდენცია უტყუარია - ვინც ნაკლებად ცოდავს, ის უფრო ჯანსაღი ცხოვრებითა და ხანგრძლივად არსებობს.

როგორც მედიცინის მეცნიერებები გვიდასტურებს და, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პირადი გამოცდილებითა და დღეგრძელი ადამიანების ჩვენეული გამოკითხვითაც მტკიცდება, ასევე კანონზომიერია, რომ დღეგრძელი ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ინტერესით ეცნობა მისთვის სიახლის შემცველ წიგნებსა და ლოგიკურ ამოცანებს, ასევე მინიმალური დოზით მაინც დატვირთულია სპორტის მისთვის მოხერხებული სახეობებით. საკუთრივ, ძალზე მიყვარს წიგნი და სპორტის მრავალი სახეობა, ეს ჩემი ყოველდღიურობაა და ყველას გულით მოვუწოდებ, რომ ეცადონ შეინარჩუნონ ზომიერი ფიზიკური აქტივობა, რაც აუცილებლად დაგვეხმარება ღვთის მსახურებისა და ყოველდღიური საქმეების ხარისხიანად შესრულებაში.

გამოყენებული წყაროები

1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2014-2015/report-highlights/
2. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის გავლენა ტემპებსა და პროპორციებზე მსოფლიო ეკონომიკაში. – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2015, ISBN 978-9941-0-7992-4 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/104603
3. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის რაციონალური ძალის დაცვისათვის მითიდან კანონზომიერების აღმოჩენამდე. - 2014, ISBN 978-9941-0-7312-0 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/69407
4. რევაზ ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების შესახებ კომენტარები. – 2015, ISBN978-9941-0-7882-8(PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/102435
5. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის ობიექტური კანონზომიერება (ინგლისურ ენაზე), 2015, ISBN 978-9941-0-7342-7 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/73769
6. რევაზ ლორთქიფანიძე, კომპიუტერული თაობა ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის დიდი ნახტომისათვის. - თბილისი, წმ. ქაშვეთში მოღვაწე მამაღვთისოს კურთხევით, 2015, ISBN 978-9941-0-7587-2 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/87017
7. რევაზ ლორთქიფანიძე, ეკონომიკური კონკურენციის კანონის ნიშან-თვისებების აღმოჩენა და ინდექსები დენის ძალის კანონის მსგავსად (რუსულენაზე), 2014, ISBN 978-9941-0-6792-1, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47189
8. რევაზ ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ანტიმონოპოლიური პოლტიკისათვის სიღარიბის წინააღმდეგ მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიან სტრუქტურაში: კონცეფცია

(ინგლისურ ენაზე), 2014, ISBN 978-9941-0-6784-6,
http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47096
9. რევაზ ლორთქიფანიძე, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის, 2014, ISBN 978-9941-0-6301-5,
http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377
10. ბიბლიური დღეგრძელები, http://pikabu.ru/story/bibleyskie_dolgozhiteli_1187257

ავტორის შესახებ

Professional Experience სამთავრობო და სამეცნიერო ეკონომიკურ სტრუქტურებში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, პროფესორი (2010 წლის იანვრიდან დღემდე, კურსები საერთაშორისო მენეჯმენტის, მენეჯერული ხარჯების, ბიზნესისა და ფინანსების საფუძვლების საკითხებზე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი სპეციალისტობიდან დაწინაურდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვის სამმართველოს უფროსამდე (2001–2009, სამინისტროს რეორგანიზებამდე), 2013 წელს აირჩიეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ეკონომიკის საკითხებში სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა (1998–2001), სხვადასხვა წლებში მუშაობს მოწვეულ პროფესორად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სრულ პროფესორად. აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1997–1998), აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე (1994–1996), აჭარის ეკონომიკის მინისტრის

მოადგილე, როგორც მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1993–1994), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტობიდან დაწინაურდა უმცროს მენიერმუშაკად, მეცნიერმუშაკად, უფროს მეცნიერმუშაკად (1986–1993), 150–ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, მ.შ. 30 წიგნადი შრომაა ეკონომიკაში. კვლევის სფეროებს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული საფუძვლები, მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, აშშ ეკონომიკა (გამოცემულია შრომები აშშ საელჩოს მხარდაჭერით), ეკონომიკური კონკურენცია და ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობა (განავითარა ევროკავშირის ექსპერტთა ფორმულირება), ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობა, სავალუტო სისტემა და სხვ.

Education 1989 წელს დაასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა, 1986 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო–ეკონომიკური ფაკულტეტი (წარჩინებით), 1981 წელს ბათუმის N1 საშუალოს სკოლა (ოქროს მედლით).

Certificates ნიუ–იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრობის სერთიფიკატი, ევროკავშირის პროექტის სერთიფიკატი "უფრო სუფთა წარმოების" საკითხებში და სხვა მრავალი საერთაშორისო საზოგადოებრივი აკადემიისა და უნივერსიტეტის სერტიფიკატები.

Diplomas საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ გაცემული მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (N001557, ეკონომიქსის 08.00.01 სპეციალობით), მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით რუსეთის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (DK N002918), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინების დიპლომი HB N065540 (სპეციალობა – მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია) და სხვ.

Scholarships ინფორმაცია მის შესახებ შესულია ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (2005), როგორც ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორს (1999), მიენიჭა გრანტი – საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდია (2001), გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნომინაციაში

“ყველაზე ინტელექტუალური” (2006), საერთაშორისო ეკომათემატიკური ტესტის სრულად ამომხსნელია და, როგორც მოსწავლეთა სასწავლო–შემოქმედებითი ოლიმპიადის ყველაზე მეტი სახეობის გამარჯვებულს, წილად ხვდა საქართველოს ახალგაზრდობის სახელით მოხსენება (1980).

Personal information დაიბადა 1965 წლის 7 იანვარს, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი, ქაშვეთის ტაძრის სტიქაროსანია, ჰობი – საგალობლები, მათემატიკა, სპორტი (სამოყვარულო რეკორდებით კალათბურთში, ცურვასა და სირბილში).

About Author

Revaz Lordkipanidze (was born 1965, 7 Jan., Georgia) is economist, politician (winner of the first local democratic election of Georgia in 1991, Batumi), doctor of sciences (economics, world economy and international economic relations), gold medalist of Georgian Ministry of Education.

He graduated Tbilisi State University with Honored Diploma (1986) and Institute of Economy and Law (Georgian Academy of Sciences, 1990), St. Petersburg State University with diploma of doctor (1998–1999), was member (first from post USSR countries) of The Academy of Political Science (NY, USA) with certificates (1998–2010), with successfully certify EU TACIS Project (Cleaner production, 2003) and University of Minnesota (The USA, Training program, 2011), elected academician of Georgian Academy of Economic Sciences (2013). He is in Georgian Economic encyclopedia (2005, Head of authors' group and editorial board Avtandil Silagadze, P. 377), as young doctor of sciences (1999) He granted with the first quality scholarship of President of Georgia (2001).

After win (independently, without Communist party) in the first local democratic choice of Georgia in center of the sea capital of Georgia - Batumi, Revaz Lordkipanidze was initiator for creation of Ministry of Economy in Georgia and the first acting head of this Ministry in significant geopolitical region - Achara (See Governmental decisions of Georgia 1993–1998 years). He is also initiator for real free economic zone in Georgia, as base of fast economic

growth and peaceful international cooperation, author of recommendations for international anti-monopoly policy, healthcare reforms, structure of property, new rational (effective) economic relations, etc.

Participation in events of different organizations:

- The Academy of Political Sciences (New York, USA), Golden membership certificates, with 1998.
- New York Academy of Sciences (USA), Membership silver medal, 1998.
- California Academy of Sciences (USA), with 1998.
- TACIS Project in the Selected countries of the NIS: Moldova, Georgia and Kazakhstan, Preparing a Business Case for CP Investment, 2003.
- University of Minnesota (USA), Program "Environmental Health", Geomedi - UM, 2011.
- International Olympic Committee, "The Sport Administrators Course", Geomedi - IOC, 2012.
- Institute of Biostructure and Biomaging (Italy), Course "Biomedicine and Modern Technologies", Geomedi - CNR - Napoli, 2013.
- Freedom and Entrepreneurship (Friedrich Naumann Stiftung, etc.), Tbilisi, 2014.
- The Open Door Center (USA-Georgia), Tbilisi, 2015.
- What is needed for success (New Economic School, University of Georgia), Tbilisi, 2015.
- Free Market Road Show (Austrian Economics Center, etc.), Tbilisi, 2015.

Revaz Lordkipanidze is author of Christian Chants and Verses. He is assistant to the Priest in Saint Qashveti (Church), hobby - chants, mathematics, sports (with amateur records in basketball, swimming and running).


1124
DAS
KAZBEGI

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI
2015

KAZBEGI MARATHON
Certificate Of Participation
Awarded to
Mr. Revaz Lordkipanidze
for successfully completing the
8 km distance
in the
"Kazbegi Trail Marathon"
on Saturday, 5 September 2015 in the time of
50:59:52

KAZBEGI MARATHON
2015

Revaz Lordkipanidze
Champion of International
Basketball Competition
„Long Shots"

I
REVAZ
LORDKIPANIDZE
Champion of age group
in International Fun Run
8 km for 50 min
in Kazbegi
Mountain